ᲯᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
27 ოქტომბერი
1939 წ.
№ 247 (5647)
ფასი 10 კაპ.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ერთსულოვანი არჩევნები მთელს მსოფლიოს დაანახვებს საბჭოთა კავშირის ხალხების ერთიანობასა და ძალას — მტერთათვის მრისხანე ძალას. კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ახალი გამარჯვება კიდევ უფრო მეტ დიდებასა და სახელს შეჰმატებს ლენინ-სტალინის პარტიის დიად და წმინდა დროშას!

„პრავდა“

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მოწვევის შესახებ

მოწვეულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეხუთე სესია ა. წ. 31 ოქტომბერს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.

ამხანაგ მოლოტოვს

განუზომლად ბედნიერი ვარ, მადლობას მოგახსენებთ პარტიისა და მთავრობის მაღალი ჯილდოსათვის. ვგრძნობ ძალღონისა და ენერგიის მომატებას, მთლიანად მოვახმარ მას ბოლშევიკების პარტიისა და ჩვენი ქვეყნის მთავრობის სამსახურს, იმ ქვეყნისა, სადაც ადამიანის განთავისუფლებული შრომა ყველა მშრომელის ბედნიერებისა და კეთილდღეობის წყაროს წარმოადგენს.

მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე პროფესორი დიაკოვი

24 დეკემბერი თურქმენეთის სს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა

აშხაბადი, 26 ოქტომბერი (საკ-დესი). თურქმენეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, საუსულო და სადაბო საბჭოების არჩევნები დანიშნულია 1939 წლის 24 დეკემბრისათვის.

29 დეკემბერი უზბეკეთის სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა

ტაშკენტი, (საკდესი). უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საოკრუგო, სარაიონო, საქალაქო, სადაბო, საყიშლაღო და საუსულო საბჭოების არჩევნები დანიშნულია 1939 წლის 29 დეკემბრისათვის.

საარჩევნო კამპანიის დაწყება გამოცხადებულია 1939 წ. 29 ოქტომბრიდან.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა **ამხ. ნ. ი. შარონოვი** დანიშნა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად უნგრეთში. (საკდესი).



სახელოვანი და საგულისხმო შედეგები

დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრებების არჩევნები, რომლებიც 22 ოქტომბერს ჩატარდა, წარმოადგენენ დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხთა თავისუფალი ცხოვრების პირველი თვის სახელოვან და საგულისხმო შედეგს. ერთ თვეზე ცოტა მეტმა განვლო და განთავისუფლებული ოლქების მოსახლეობამ იგრძნო თავისი განთავისუფლების პირველი უმნიშვნელოვანესი შედეგები.

დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მიწა-წყალზე უკვე აღარ არსებობს ეროვნებათა არათანასწორუფლებიანობა, — უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეროვნებათა უუფლებობა, რაც პანების პოლონეთში არსებობდა. მცირეწილიანმა და უმიწაწყლო გლეხებმა, მოჯამაგირეებმა მიიღეს მიწა, რომელიც მათ წარსულში მემამულე პანებმა, მონასტრებმა, დიდმა სახელმწიფო მოხელეებმა წაართვეს. წარმატებით ხდება უმუშევრობის ლიკვიდაცია. უკვე ათასობით მუშამ, მოსამსახურემ, ინტელიგენტმა მიიღო სამუშაო თავის განთავისუფლებულ სამშობლოში. დასავლეთ უკრაინის უმუშევარ მუშათა პირველ ათასებს უკვე სიხარულით შეხვდნენ მათი ძმები — დონბასის მაღაროელები. აღარ არის ომი დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში. წითელმა არმიამ იხსნა ხალხი ომის საშინელებისაგან, რაც ხალხს თავს დაატეხეს უილაჯო, მხდალმა მტაცებლებმა, რომლებიც პოლონეთის მთავრობას შეადგენდნენ. დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობამ ამ მოკლე ხნის განმავლობაში პირველად განიცადა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების, კრებების თავისუფლების, სიტყვის თავისუფლების, საზოგადებრივი ორგანიზაციების თავისუფლების სიხარული — ნამდვილი და არა ქაღალდზე დაწერილი თავისუფლების სიხარული. მუშებმა, გლეხებმა, ინტელიგენციამ, მამაკაცებმა და ქალებმა, ახალგაზრდობამ და მოხუცებმა პირველად იგრძნეს საკუთარ თავზე ნამდვილი მზრუნველობა. გაიხსნა სკოლები, სადაც სწავლა დიდა-ენაზე მიმდინარეობს. თავისუფლად გაისმა სიტყვა, სიხარულის სიმღერამ დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის სოფლებსა და ქალაქებში წაშალა სიბეჯავის, შიშის, უმწეობის დაღი. ადამიანები წელში გაიმართნენ, ამაყად ასწიეს თავი, იგრძნეს, რომ ისინი ნამდვილი თავისუფალი ადამიანები არიან.

დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრებების არჩევნებისათვის მზადების დღეებში უდიდესი მუშაობა ჩატარდა. ამ ოლქების ქალაქებსა და სოფლებს ჯერ არასოდეს უნახავთ ასეთი ხალხმრავალი კრებები, არ მოუსმენიათ ასეთი თავისუფალი სიტყვები, არ უნახავთ სიხარულით გაბრწყინებული ამდენი სახე, ამდენი წვრილა, მხნე რევოლუციური სიმღერა. ასეთი არჩევნები ჯერ არასოდეს უნახავთ იმ ხალხებს, რომლებიც ყოფილი პოლონეთის შემადგენლობაში შედიოდნენ!

უაღრესი ყურადღებით ხდებოდა თვითეული იმ კანდიდატურის განხილვა, რომელსაც გლეხთა კომიტეტები, დროებითი მმართველობანი, მუშათა გვარდიის რაზმები, მუშებისა და ინტელიგენციის კრებები ასახელებდნენ. ხალხმა წამოაყენა საუკეთესო ადამიანები. პოლონელი პანები და პანების პოლონეთის სხვადასხვა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები მრავალი წლის განმავლობაში ნერგავდნენ და ღვივებდნენ ხალხთა შორის ველურ ნაციონალიზმს, მტრობას. მაგრამ განთავისუფლებულმა ხალხმა წამოაყენა ყველა ეროვნების კანდიდატები. მაგალითად, დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრების დეპუტატობის რეგისტრირებულ კანდიდატთა შორის 911 კაციდან მოდის 659 ბელორუსი (72,3 პროც.), 105 პოლონელი (11,5 პროც.), 75 ებრაელი (8,2 პროც.), 38 რუსი (4,2 პროც.).

ხალხმა პირველად იგრძნო თავი დიდი საზოგადებრივი საქმის თანაწყრუფლებიან მონაწილედ. დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრების არჩეულ დეპუტატთა შორის 123 ქალია. დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრების სოციალური შემადგენლობა მოწმობს იმ ღრმა ცვლილებებს, რომლებიც უმოკლეს დროში მოხდა განთავისუფლებულ ოლქებში. დეპუტატთა შორის მუშები შეადგენენ 16,7 პროცენტს, გლეხები — 70 პროც., ინტელიგენცია — 12,3 პროც. ასეთია დასავლეთ ბელორუსიის ციფრები. დაახლოებით ასეთიცეა დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების შემადგენლობაც.

22 ოქტომბრის დღე არის განთავისუფლებული ხალხის სასიხარულო დღესასწაული, ეს არის დიადი გამარჯვება ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკისა, რომელიც საბჭოთა მთავრობას ამოძრავებდა მაშინ, როდესაც მან წითელ არმიას უბრძანა დახმარებოდა თვისტომ ძმებს — უკრაინელებსა და ბელორუსებს. დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელები არჩევნებზე ისე მიდიოდნენ, როგორც დღესასწაულზე.

ამასწინათ ბელოსტოკის სავოევოდოს კანცელარიის არქივებში აღმოჩენილ იქნა ყოფილი პოლონეთის ოლქებში სეიმის ყველა არჩევნების დროს ამომრჩეველთა მონაწილეობის დიაგრამა. ამ დიაგრამის თანახმად, მთელს პოლონეთში სეიმის არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 1922 წელს ამომრჩეველთა 67,9 პროც., 1928 წელს — 78,5 პროც., 1930 წელს — 74,8 პროც., 1935 წელს — 45,9 პროც., 1938 წელს — 67,4 პროც.

ამასთან საჭიროა გვახსოვდეს, რომ პანების პოლონეთში საარჩევნო უფლება სრულიადაც არ იყო საყოველთაო: მილიონობით მშრომელები ამ უფლებას მოკლებული იყვნენ. მაგალითად, მთელი ახალგაზრდობა 25 წლის ასაკამდე მოკლებული იყო საარჩევნო უფლებებს. ხოლო იმის უფლება, რომ არჩეული ყოფილიყო, ეხებოდა მხოლოდ 30 წლის ასაკიდან. მაგრამ ასიათასობით ადამიანებიც, რომლებსაც ფორმალურად ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ხშირად ბოიკოტს უცხადებდნენ არჩევნებს, ვინაიდან ამ არჩევნებიდან ისინი კარგს არაფერს მოელოდნენ.

საგულისხმო სურათს წარმოადგენდა პოლონეთის სეიმის არჩევნები 1935 წელს—მთელ პოლონეთში მაშინ ხმა მისცა ამომრჩეველთა დაახლოებით 46 პროცენტმა. ზოგიერთ რაიონში კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ამომრჩეველთა დაახლოებით 3 პროცენტი. გაუმქმებული ბიულეტენების რიცხვი 50 პროცენტს აღწევდა.

ბევრ ადგილას ჯალათური არჩევნების გამო აღშფოთებულმა მუშებმა და გლეხებმა დაარბიეს საარჩევნო უბნები. ამიტომ იყო ამოქმედებული მთავრობის მთელი მანქანა, რათა ამომრჩეველთა განწყობილება გაეცხოველებინა. სწორედ სეიმის არჩევნების წინ ბურჟუაზიული გაზეთი „პრაგერ პრესა“ სწერდა, სახელმწიფოში ტემპერატურა ერთი გრადუსითაც არ აწეულა, პოლონეთის დედაქალაქში —ვარშავაშიც კი არავითარ ინტერესს არ იჩენენ არჩევნებისადმი. გაზეთ „კურიერ პორანის“ მთავარმა რედაქტორმა სპიჩინსკიმ ამომრჩეველთა მისაზიდად მოაწყო კონსულიანები და კონცერტები საუკეთესო არტისტთა მონაწილეობით. მაგრამ როგორც კი ანტრაქტებში სპიჩინსკი შეეცდებოდა ხოლმე წარმოეთქვა სიტყვა, მას მყისვე სტვენით უმასპინძლდებოდნენ.

პოლონეთის სეიმის არჩევნების დღეებში სისხლისმღვრელი შეტაკება ხდებოდა, აპატიმრებდნენ ბევრ ამომრჩეველს, და პარიზის ბურჟუაზიული გაზეთი „პტი პარიზიენი“ მაშინ სწერდა: „პოლონეთში კენჭისყრა უდიდესი გულგრილობის ატმოსფეროში ჩატარდა. რამდენადაც კანდიდატებს პირდაპირ თუ არაპირდაპირ მთავრობა ასახელებს, ამომრჩევლებს თავისი ნამდვილი გრძნობების გამოსახატავად ერთი საშუალება-ღა დარჩენიათ: ბოიკოტი გამოუცხადონ არჩევნებს“.

პანების პოლონეთში ამომრჩეველი მისდამი მტრულად განწყობილი და მისთვის საძულველი ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებას არჩევნების ბოიკოტით გამოხატავდა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ განთავისუფლებულ დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში ამომრჩეველი თავისი აქტივობით, თავისი ერთსულოვნობით გამოხატავს სოლიდარობას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, თავის სიყვარულს მისდამი, თავის სურვილს შევიდეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. საარჩევნო ოლქების ცნობებით, დასავლეთ უკრაინის ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან—4.776.275 კაციდან 1939 წლის 22 ოქტომბერს კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 4.433.997 კაცმა, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 92,83 პროცენტს, ამასთან გლეხთა კომიტეტების, დროებითი მმართველობების, საწარმოების მუშათა კრებების, მუშათა გვარდიის კრებების, ინტელიგენციის კრებების მიერ წამოყენებულ კანდიდატებს ხმა მისცა 4.032.154 კაცმა, რაც კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვის 90,93 პროცენტს შეადგენს. დაახლოებით ასეთსავე სურათს გვიჩვენებს დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრების არჩევნებიც. აქ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ყველა ამომრჩევლის 96,71 პროცენტმა, ხოლო გლეხთა კომიტეტების, დროებითი მმართველობების, საწარმოების მუშათა კრებების, მუშათა გვარდიის კრებებისა და ინტელიგენციის კრებების მიერ წამოყენებულ კანდიდატებს ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილეთა 90,67 პროცენტმა.

რას მოწმობენ ეს ციფრები? ისინი მოწმობენ, რომ დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ყველა ეროვნების გლეხებმა, მუშებმა, ხელოსნებმა, მშრომელმა ინტელიგენციამ ღრმად შეიგნეს მათი შემაკავშირებელი მიზნის ერთიანობა და გამოიჩინეს ერთიანი ნება-სურვილი: დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა საბჭოთა ხელისუფლებას, უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლას, მემამულეთა, სამონასტრო მიწებისა და დიდ სახელმწიფო მოხელეთა მიწების კონფისკაციას, ამ მიწების გადაცემას იმათთვის, ვინც მიწაზე შრომობს, ვინც ამ მიწას საკუთარი ხელით ამუშავებს. ხალხმა ხმა მისცა დიდი საწარმოებისა და ბანკების ნაციონალიზაციას.

ასეთი იყო არჩევნების პროგრამა. ამ პროგრამამ შეაჭიდროვა მთელი ხალხი დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში. კანდიდატების წინააღმდეგ და, როგორც სჩანს, ამ პროგრამის წინააღმდეგ ხმა მისცა ამომრჩეველთა ათ პროცენტზე ნაკლებმა. ეს გასაგებია, ვინაიდან საარჩევნო უფლება საყოველთაო იყო და კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდნენ მემამულეებიც და ყოფილი სახელმწიფო მოხელეებიც, ოსადნიკები და ვაჭრები, ფაბრიკანტები და მექარხნეები, კულტის მსახურნიცა და კულაკებიც.

დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხებმა, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე, ჩაატარეს სახალხო კრებების დეპუტატთა არჩევნები.

დღეს, 26 ოქტომბერს, მუშაობას იწყებს დასავლეთ უკრაინის სახალხო კრება, ხოლო 28 ოქტომბერს—დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრება. ლვოვი და ბელოსტოკი ხვდებიან ხალხის მიერ არჩეულთ, რომლებმაც უნდა გადასჭრან ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები: თუ როგორი ხელისუფლება უნდა დამყარდეს დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში, უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლის, მემამულეთა მიწების, სამონასტრო და დიდ სახელმწიფო მოხელეთა მიწების კონფისკაციისა და გლეხებისათვის მიწის გადაცემის საკითხი, ბანკებისა და მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციის საკითხი. შეგვიძლია ეჭვი არ შევიტანოთ იმაში, თუ როგორი იქნება სახალხო კრებების ერთსულოვანი ნება-სურვილი. ამიერიდან დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში იწყება ექსპლოატაციისა და ნაციონალური ჩაგვრისაგან თავისუფალი, სასიხარულო, შემოქმედებითი ახალი ცხოვრების ხანა.

„პრავდის“ მოწინავე, 26/X.

სსრ კავშირის მთავრობის პასუხი

ბრიტანეთის 1939 წლის 6 სექტემბრისა და 11 სექტემბრის ნოტებზე სამხედრო კონტრაბანდის საკითხების შესახებ

25 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ვ. პ. პოტიომკინმა ბრიტანეთის ელჩს ბ-ნ სიიდსს გადასცა სსრ კავშირის მთავრობის შემდეგი პასუხი ბრიტანეთის 1939 წლის 6 სექტემბრისა და 11 სექტემბრის ნოტებზე სამხედრო კონტრაბანდის საკითხების შესახებ:

„ბატონო ელჩო,

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის მთავრობის დავალებით, პატივი აქვს ბრიტანეთის საელჩოს 1939 წლის 6 სექტემბრისა და 1939 წლის 11 სექტემბრის ნოტების საპასუხოდ განაცხადოს შემდეგი:

1. ბრიტანეთის მთავრობის მიერ ცალმხრივი აქტით იმ საქონლის სიის დაწესება, რაც 6 სექტემბრის ნოტით გამოცხადებულია სამხედრო კონტრაბანდად, არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, რომლებმაც თავიანთი ზოგადი გამოხატულება ჰპოვეს 1909 წლის 26 თებერვლის საერთაშორისო დეკლარაციაში საზღვაო ომის უფლების შესახებ, დიდ ზარალს აყენებს ნეიტრალური ქვეყნების ინტერესებს და შლის საერთაშორისო ვაჭრობას.

ბრიტანეთის მთავრობა, მის მიერ სამხედრო კონტრაბანდის სიებში ისეთი საგნებისა და საქონლის შეტანით, როგორიც არის სათბობი, ჭაღალდი, ბამბა, სოფლის მეურნეობის ცხოველთა საკვები, ფეხსაცმელი, ტანისამოსი და მათ დასამზადებლად საჭირო მასალა და ყოველგვარი სურსათიც კი—ჰური, ხორცი, კარაქი, შაქარი და სხვა სახის კვების პროდუქტები — არსებითად კონტრაბანდად აცხადებს მასობრივი მოხმარების ძირითად საგნებს და სრული თვითნებობის შესაძლებლობას ჰქმნის სახალხო მოხმარების ყველა საგნის სამხედრო კონტრაბანდად მიჩნევაში. ეს აუცილებლად იწვევს პირველი საჭიროების საგნებით მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობის მომარაგების უაღრესად მოშლას, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობიანი მოსახლეობის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს და აუტანელ უბედურებას უქადის ხალხის მასებს.

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, როგორც ცნობილია, ნებას არ იძლევიან ჰაერიდან დაუშინონ ყუმბარები მშვიდობიან მოსახლეობას, ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს. ამავე საფუძველზე საბჭოთა მთავრობას შეუწყნარებლად მიაჩნია სახალხო მოხმარების საგნების კონტრაბანდად გამოცხადების გზით მოკლებულ იქნას მშვიდობიანი მოსახლეობა სურსათის, სათბობის და ტანისამოსის და, აშრადგად,—ყოველგვარ გაჭირვებაში და შიმშილით სიკვდილის საფრთხეში იქნან ჩაგდებული ბავშვები, ქალები, მოხუცები და ავადმყოფები.

ზემონათქვამის საფუძველზე, საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ ის არ ეთანხმება ბრიტანეთის მთავრობის ა. წ. 6 სექტემბრის ნოტას და უარს ამბობს რაიმე ძალის მქონედ ჩასთვალოს იგი.

2. ამგვარადვე, სსრ კავშირის მთავრობა აცხადებს, რომ ის არ ეთანხმება ბრიტანეთის ა. წ. 11 სექტემბრის ნოტას და რაიმე ძალის მქონედ არ სთვლის ამ ნოტას, რომელიც გვამცნობს, რომ ბრიტანეთის მთავრობამ ცალმხრივად დაწესა სისტემა ნეიტრალური ქვეყნების სავაჭრო გემების გასინჯვისა ბრიტანეთის მთავრობის მიერ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ნავსადგურებში. საბჭოთა მთავრობას სრულიად დაუსაბუთებლად და თვითნებურად მიაჩნია მოთხოვნა, რომ აღნიშნული გემები აუცილებლად შედიოდნენ ამ ნავსადგურებში, მოთხოვნა, რომელსაც ამასთან თან ახლავს ამ ნავსადგურებში იძულებით მიყვანის მუქარა. ასეთი ღონისძიებანი საზღვაო სავაჭრო ნაოსნობის თავისუფლების ელემენტარულ პრინციპებს არღვევენ. ისინი არ შეესაბამებიან 1909 წლის 26 თებერვლის საერთაშორისო დეკლარაციასაც, აგრეთვე ჰააგის საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს 1913 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებას საფრანგეთის გემ „კარტაჟის“ საქმის გამო.

ამასთან ერთად, სსრ კავშირის მთავრობას არ შეუძლია არ განაცხადოს, რომ სსრ კავშირის სავაჭრო გემები სახელმწიფო გემებია და უკვე მარტო ამ მიზეზით მათ მიმართ არ უნდა იქნას გამოყენებული იძულების რაიმე ღონისძიებანი, რომლებსაც კერძო სავაჭრო გემების მიმართ იყენებენ.

3. ზემოთქმულის საფუძველზე, სსრ კავშირის მთავრობა უფლებას იტოვებს მოითხოვოს ბრიტანეთის მთავრობისაგან იმ ზარალის ანაზღაურება, რასაც აყენებენ სსრ კავშირის ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა ან მოქალაქეებს ბრიტანეთის მთავრობის ზემოაღნიშნული ღონისძიებანი და ბრიტანეთის ხელისუფალთა მოქმედება.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო ელჩო, თქვენდამი ჩემს სრულ პატივისცემაში.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მოლოტოვი

დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ბატონ სიიდს.

ბრიტანეთის საელჩო
მოსკოვი.

ნამდვილი დემოკრატიული არჩევნები

საუბარი ბარანოვიჩის დროებითი მმართველობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კუზნეცოვთან

ბარანოვიჩი (დასავლეთ ბელორუსია), 25 ოქტომბერი (საკდესი). საკდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს ბარანოვიჩის დროებითი მმართველობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კუზნეცოვმა მას გააცნო ქალაქ ბარანოვიჩსა და ბარანოვიჩის მაზრაში დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრების დეპუტატთა არჩევნების შედეგები.

— არჩევნები ორგანიზებულად, განსაკუთრებული აღფრთოვანებით ჩატარდა. ხალხი მიდიოდა საარჩევნო უბნების სადგომებში, რომლებიც ყვავილებითა და მწვანეულის გირლანდებით იყო მორთული. ამომრჩევლებმა სიამაყით გამოიყენეს თავისი დიადი უფლება—ხმა მისცენ ხალხის მიერ წამოყენებულ კანდიდატებს.

საარჩევნო კომისიების წევრებმა მიიღეს ბევრი ბარათი, მოისმინეს მრავალი მხურვალე სიტყვა, რომლებშიც ამომრჩევლები მადლობას სწირავდნენ თავის განმათავისუფლებლებს — სახელოვან წითელ არმიას, დიდ სბჭოთა ხალხს. ბევრი გულისამაჩუყებელი სცენა იმართებოდა საარჩევნო უბნებში. მოხუც ამომრჩევლებს, ინვალიდებს ავტომანქანებს უგზავნიდნენ, მაგრამ ბევრი მოხუცი თვითონ მოდიოდა საარჩევნო უბანში.

— განა ასეთ დღეს შეიძლება მანქანის ლოდინი,—განაცხადა ხაიკელ ბრევდმა. — ცხოვრებამ მოთმინება მასწავლა, მაგრამ შინ ვერ დამჯდარხარ, ბედნიერებისაგან ახალგაზრდა ხდები, ძალა გემატება.

ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა ხმა მისცა დღის პირველ ნახევარში, მაგრამ ხალხი შინ არ მიდიოდა. ჩვეულებრივ მყუდრო ქუჩებში შუადამედე გრძელდებოდა სახალხო სეირნობა.

ღამის სრულ 12 საათზე საარჩევნო კომისიები ხმების დათვლას შეუდგნენ.

ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების პირველი შედეგები განსაცვიფრებელია. ასეთი არჩევნები არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო პანების პოლონეთში. ეს არჩევნები უჩვეულოა არა მარტო კენჭისყრის მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით, არამედ იმითაც, თუ როგორ ერთსულოვნად გამოსთქვეს ამომრჩევლებმა თავისი ნება-სურვილი.

დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრების დეპუტატებად არჩეული აღმოჩნდა ყველა 40 კანდიდატი, რომლებმაც კენჭი იყარეს ქალაქ ბარანოვიჩისა და ბარანოვიჩის მაზრის საარჩევნო ოლქებში.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 98,8 პროცენტმა. წამოყენებულ კანდიდატებს ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილეთა 97,3 პროცენტმა.

უკეთესთა შორის საუკეთესოებს ჰგზავნის მოსახლეობა სახალხო კრებაში. არჩეულთა შორის არიან — დურგალი იოსებ რაისკი. 12 წლის განმავლობაში — თვით წითელი არმიის მოსვლამდე—იტანჯებოდა იგი სატიმროს ჯურმულში, სადაც პოლონეთის დეფენზივამ ჩაგდო. ხორკომბინატის დარაჯი ამხ. სიმაკოვიჩი, რკინიგზის მუშა ამხ. კორობი, გლეხი ქალი მარიამ მიმოკი—აი ვის მისცეს ხმა ამომრჩევლებმა.

არჩევნების შედეგები მოწმობენ, რომ დასავლეთ ბელორუსიის მშრომელებს ერთსულოვნად სურთ იცხოვრონ და იმუშაონ მეგობრულ ოჯახად დიადი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად.

მურმანსკში უცხოეთის გემის დაკავების გამო

მურმანსკი, 25 ოქტომბერი (საკდესი). მურმანსკის საზღვაო ხელისუფლებამ გაათქმა სატვირთო გემ „სიტი ოფფლინტის“ გერმანელთა ეკიპაჟის ინტერნირება იმის გამო, რომ, როგორც გამოირკვა, გემი ნავსადგურში შემოყვანილი იყო მანქანების შესაკეთებლად.

გემი ჯერჯერობით მურმანსკში რჩება ტვირთის ზუსტი შემადგენლობის შესამოწმებლად.

ჩაის ფოთლის დამზადება

„საჭაის“ 25 ოქტომბრის ცნობების მიხედვით ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა გადაჭარბებით აქვთ შესრულებული ბათუმის, ჭობულეთის, გალის, ოჩამჩირის, სოხუმის, გუდაუთის, მახარაძის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, სამტრედიის, წულუკიძის, ჭუთაისის, წყალტუბოს, ცხაკაიას, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და ხობის რაიონებს.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 25 ოქტომბერს შესრულებული არ ჰქონდათ ტყიბულისა და გეგეჭკორის რაიონებს.

25 ოქტომბერს სულ საქართველოში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 43.100 ტონისა, მოკრეფილი იყო 44.544,7 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი—წლიური გეგმის 103,4 პროცენტი. ამაღე დროისათვის ოქტომბრის გეგმა შესრულებული იყო 105,6 პროცენტით.

თავდაცვა-ავიაქიმის მე-13 სრულიად-საკავშირო ლატარიის ჯირაჟი

28-30 ოქტომბერს ხარკოვში, წითელი არმიის კ. ე. ვოროშილოვის სახელობის სახლში, შესდგება თავდაცვა - ავიაქიმის XIII სრულიად-საკავშირო ლატარიის ტირაჟი.

ტირაჟში გათამაშდება: სამგზავრო ავტომანქანა „ზის-101“, 10 ავტომანქანა „მ-1“, 44 მოტოციკლი, 23 პიანინო, 34 მოგზაურობა სსრ კავშირში, 102 რადიოლა, ფოტოაპარატები, ველოსიპედები, სანადირო თოფები, სამუსიკო ინსტრუმენტები და სხვა ძვირფასი მოგება 13.500 ათასი მანეთისა.

შარშან ჩატარებულ იქნა თავდაცვა - ავიაქიმის XII სრულიად-საკავშირო ლატარიის ტირაჟი. ჯერ კიდევ არ მოუთხოვიათ 3 ავტომობილი „მ-1“, მრავალი მოტოციკლი, 7 პიანინო და სხვა მოგება 5.210 ათასი მანეთისა. (საკდესი).

საქართველოს მშრომელნი ასახელებენ თავიანთ საუკეთესო წარმომადგენლებს საარჩევნო კომისიებში

არჩევნული ბიბლიოთეკა

საარჩევნო კომისიებში დასახელებული არიან მოწინავე სტახანოველები

დიდის ენტუზიაზმით ჩატარდა თბილისის ბარეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა წინასაარჩევნო კრება. კრებას დაესწრო 1.200 ამომრჩეველი.

საქსოვი საამქროს სტახანოველმა ქალმა ამხ. გოგოლაშვილმა წინადადება შეიტანა საქალაქო საარჩევნო კომისიაში კანდიდატად წამოყენებულ იქნას მრავალდაზგასანი სტახანოველი მქსოველი ამხ. ნინო მარკოზაშვილი.

— ჩვენ ყველანი გიცნობთ, — სთქვა, მან, — ნინო გიორგის-ასულ მარკოზაშვილს, მოწინავეს წარმოებაში და საზოგადოებრივ მუშაობაში. ამხ. მარკოზაშვილი ექვს დაზგაზე მუშაობს და გეგმას ყოველდღიურად 134 პროცენტით ასრულებს. მან ფაბრიკაში პირველმა იკისრა ვალდებულება შეასრულოს წლიური გეგმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავისათვის და ბოლშევიკურად იბრძვის თავისი ვალდებულების შესრულებისათვის.

სტახანოველი ქალი მარკოზაშვილი მუშების დიდი ნდობითა და სიყვარულით სარგებლობს. იგი სიხარიკო კომიტეტის წევრი და აბრეშუმის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის წევრია. მან გამოზარდა 6 მრავალდაზგასანი.

სტახანოველმა ქალმა ჭინია ზაპოლსკაიამ კანდიდატად ორჯონიკიძის სახელობის რაიონულ საარჩევნო კომისიაში დაასახელა ფაბრიკის მოწინავე სტახანოველი ამხ. თამარ მიქიაშვილი, რომელიც 1933 წლიდან მუშაობს აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. ამხ. მიქიაშვილი საწარმოო დავალებას 160-170 პროცენტით ასრულებს და სისტემატურად ეხმარება ჩამორჩენილ ამხანაგებს.

კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება წამოაყენოს ამხ. მარკოზაშვილის კანდიდატურა საქალაქო საარჩევნო კომისიაში, ხოლო ამხ. მიქიაშვილის კანდიდატურა—ორჯონიკიძის სახელობის რაიონის საარჩევნო კომისიაში. (საქდესი).

საარჩევნო კომისიებში ასახელებენ მოწინავე ადამიანებს

(წულუკიძე, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

წულუკიძის რაიონის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებას საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საოლქო (საძხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დღედ 2 დეკემბრის დაწესებისა და 24 ოქტომბრიდან საარჩევნო კამპანიის გამოცხადების შესახებ. გრძანებულობის გამოქვეყნებამ რაიონში გამოიწვია შრომითი ენტუზიაზმის ახალი აზვირთება. 24 ოქტომბრიდან ყველა საწარმო - დაწესებულებაში, კოლმეურნეობებში, სკოლებში და მშენებლობებზე ტარდება არჩევნების დღის დაწესებისადმი მიძღვნილი საზოგადო კრებები ყველა მშრომელის გაზრდილი პოლიტიკური აქტივობით.

მშრომელთა კრებებზე ცხოვილი ინტერესით იხილავენ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებას და აყენებენ სარაიონო საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიების წევრების კანდიდატურებს. 24 ოქტომბერს საღამოს სოფელ ივანდიდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კოლმეურნეთა კრებაზე სარაიონო საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატად ერთხმად წამოაყენეს კოლმეურნე სტახანოველი ილენე მაჭარაძე. ელენე ჯოლოხიურნეობაში შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევა, თავისი სტახანოვური შრომით მაძაკაცებსაც კი უსწრებს მუშაობაში. ელენეს დღემდე კოლმეურნეობ შრომაზე მეტი შრომადღე აქვს გამომუშავებული.

ჩატარდა აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებაზე ფაბრიკის სტახანოველთა ერთმა ჯგუფმა რაიონული საბჭოს არჩევნების სარაიონო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატად წამოაყენა ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ნადია ჭელიძე. კრების ყველა მონაწილე ამ ამბავს აღფრთოვანებით შეხვდა.

ამასთან დაკავშირებით ფაბრიკის ძთელმა კოლექტივმა იკისრა ვალდებულება სანიმუშოდ მოემზადოს არჩევნებისათვის და ვადაზე ადრე შეასრულოს ფაბრიკის წლიური საწარმოო დავალ ბა.

ასეთივე კრებები ჩატარდა სოფელ დედალაურის ბერიას სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში.

ქალაქად და სოფლად მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა საზოგადო კრებებზე ტარდება საქალაქო და სასოფლო საარჩევნო კომისიების კანდიდატურების წამოყენება. საარჩევნო კომისიებში ხალხი ასახელებს ყველაზე მოწინავე, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საქმისადმი ბოლომდე ერთგულ ადამიანთა კანდიდატურებს.

ტ. ჩიქოვანი

არჩევნების ღლის დანიშვნამ ახალი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია

(სოხუმი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

აფხაზეთის მშრომელებში დიდი სიხარული გამოიწვია ბდგილმბრივი საბჭოების არჩევნების დღის დაწესებამ. საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ეწყობა დიდი მიტინგები, მიძღვნილი არჩევნების დღის დანიშვნისადმი.

25 ოქტომბერს ჩატარდა მიტინგი სოხუმის სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკაში. სიტყვებით გამოსულმა ფაბრიკის მუშებმა ხიოტიდმ. ჩერნიშმა, ბერეზოვსკაიამ და სხვ. განაცხადეს, რომ არჩევნების დღის დაწესება ახალ ამოცანებს უსახავს მათ როგორც წინასაარჩევნო მუშაობის გამლაში, ისე საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებაში.

მუშა-მოსამსახურეთა დიდი მიტინგი გაიმართა აგრეთვე სოხუმის ნავსადგურში. სიტყვით გამოსულმა კოჩერგინმა სთქვა, — აფხაზეთის თვითეული მშრომელი ახალ საწარმოო საჩუქარს მოამზადებს არჩევნების დღის დანიშვნისადმი.

25 ოქტომბერს ჩატარდა მიტინგი სოხუმის სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკაში. სიტყვებით გამოსულმა ფაბრიკის მუშებმა ხიოტიდმ. ჩერნიშმა, ბერეზოვსკაიამ და სხვ. განაცხადეს, რომ არჩევნების დღის დაწესება ახალ ამოცანებს უსახავს მათ როგორც წინასაარჩევნო მუშაობის გამლაში, ისე საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებაში.

მუშა-მოსამსახურეთა დიდი მიტინგი გაიმართა აგრეთვე სოხუმის ნავსადგურში. სიტყვით გამოსულმა კოჩერგინმა სთქვა, — აფხაზეთის თვითეული მშრომელი ახალ საწარმოო საჩუქარს მოამზადებს არჩევნების დღის დანიშვნისადმი.

ჭიათურის მაღაროელთა პასუხი

ჭიათურა, 26 ოქტომბერი („კომუნისტის“ კორ.) საარჩევნო კამპანიის გამოცხადებამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია მარგანეცის მრეწველობაში. დღეს ყველა ქარხანა-მაღაროში შესდგა ხალხმრავალი მიტინგები.

კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს სტახანოველებმა კენჭოშვილმა, მ. ჩიხლაძემ, შ. ყიფშიძემ იკისრეს, რომ წლიურ საწარმოო გეგმას 24 დეკემბრისათვის 200-დან 250 პროცენტამდე შეასრულებენ.

ამ მაღაროს მე-5 უბნის სტახანოველმა ა. ჯაჯანიძემ 24 ოქტომბერს მარგანეცის აწმენდის გეგმა შეასრულა 338 პროცენტით, 25 ოქტომბერს — 325-ით, 26 ოქტომბერს 315 პროცენტით. სტახანოვიელმა ი. ჯამყრელიძემ 80 ტონის ნაცილად ჯანგრია 242 ტონა და გეგმა შეასრულა 302 პროცენტით. მაღაროში შეიქმნა (კოლექტიური მეთოდით მომუშავე 15 ბრიგადა. ქარხმაღაროს კოლექტივმა იკისრა გამოვიდეს გარღვევიდან და გეგმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულოს.

ლენინის სახელობის მაღაროში დღიური გეგმა შეასრულეს სტახანოველებმა პავლენკომ 220 პროცენტით, ა. ასანიძემ — 225 პროცენტით და ნ. კუპატაძემ 200 პროცენტით. ასეთსავე მაჩვენებლებს მიაღწიეს ბერიას სახელობის მაღაროს სტახანოველებმა: ი. აბესაძემ, კუპატაძემ, ს. ხვედელიძემ და სხვებმა.

ვოროშილოვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმა შეასრულოს არჩევნების დღისათვის.

ასეთივე მიტინგები ჩატარდა ლიმონათის ქარხანაში, საშაჭარმო ფაბრიკაში და სხვა საწარმოებში.

გ. მერკვილაძე.

ინასაარჩევნო კრებები სტალინის რაიონში

26 ოქტომბერს თბილისის სტალინის რაიონის საწარმოებში შესდგა ამომრჩეველთა პირველი საარჩევნო კრებები, რომლებიც მიეძღვნა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიათა შემადგენლობაში.

თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსის ტრესტის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე გამოვიდა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ს. ჭოვრელი. მან შეიტანა წინადადება რაიონულ საარჩევნო კომისიაში წამოყენებულ იქნას ტრესტის პარტბიუროს მდივანი ამხ. დ. ოქრუაშვილი. საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს ამხ. დ. ოქრუაშვილმა კარგი სახელი დაიმსახურა, როგორც საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ტელმანის სახელობის საარჩევნო ოლქში.

კრებამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ამხ. ჭსოვრელის წინადადებას.

○

კალინინის სახელობის ქარხანაში აქტიურად ჩატარდა კრება, რომელსაც 350-ზე მეტი ამომრჩეველი დაესწრო. კრებამ რაიონული საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიაში კანდიდატად ერთსულოვნად წამოაყენა სარემონტო-სამონტაჟო სამქროს სტახანოველი ამხ. სერგო ზაბარიანი.

○

თბილისის კინოსტუდიის მუშაკთა წინასაარჩევნო კრებაზე კანდიდატად რაიონული საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიაში ერთსულოვნად წამოყენებულ იქნა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კინოსტუდიის დირექტორი ამხ. ა. გიგოშვილი.

○

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიებში კანდიდატებად წამოყენებული არიან აგრეთვე სტალინის რაიკომის მდივანი ამხ. ე. მაისურაძე, საქ. ალკკ სტალინის რაიკომის მდივანი ამხ. ა. ჩუბინიძე, თავდაცვაავიაქიმის რაისაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ალ. ქოქრაშვილი, ამხ. თამარ ვაშაკიძე და სხვ.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიაში წამოყენებულია სულ 11 კანდიდატი. (საქდესი).

პირველი კანდიდატები საქალაქო საარჩევნო კომისიაში

ფოთი, 26 ოქტომბერი (საქდესი). გუშინ მშრომელთა საერთო კრებებზე დაიწყო კანდიდატების წამოყენება საქალაქო და საოლქო საარჩევნო კომისიებში. კრებები მიმდინარეობს უდიდესი ენტუზიაზმით, მშრომელთა მაღალი პოლიტიკური აქტივობით. სამედიცინო-სანიტარულ შუშაკთა პროფკავშირის წევრების კრებაზე ფერშალმა ქალმა ჭსენია წერეთელმა კანდიდატად საქალაქო საარჩევნო კომისიაში წამოაყენა ექიმი ამხ. ნ. ჯანდიერი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მიღებულ იქნა პარტიის წევრობის კანდიდატად; იგი საუცხოო საზოგადოებრივი მუშაკი და ქალაქის ერთერთი საუკეთესო ქირურგია, რის გამო მოსახლეობაში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს.

ფოთის ნავსადგურის სამმართველოს თანამშრომელთა კრებამ საქალაქო საარჩევნო კომისიაში კანდიდატად წამოაყენა მეზღვაურთა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მ. უდოვიჩენკო — გემის მემანქანე, სტახანოველი, დაჯილდოებული.

ამ კანდიდატურებს მშრომელთა კრებებმა ერთსულოვნად მხარი დაუჭირა.

საარჩევნო კომისიებში ასახელებენ მოწინავე სტახანოველებს

(ბათუმი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ბათუმის სერგო ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში 25 ოქტომბერს შესვენების დროს შესდგა მიტინგი, რომელსაც 800 მეტი კაცი დაესწრო.

— ორდენოსანი საქართველოს ხალხთან ერთად აჭარის მშრომელები, — განაცხადა მიტინგზე სიტყვით გამოსულმა მეოთხე საამქროს უფროსმა ამხ. თ. რევიამ, — სიხარულით მოელიან არჩევნების დღეს — 24 დეკემბერს. არჩევნების პერიოდში კიდევ უფრო გავაძლიერებთ ბრძოლას მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის. ჩვენი სამქრო წლიურ გეგმას 12 დეკემბერს შეასრულებს.

ასეთივე კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს სიტყვით გამოსულმა სტახანოველებმა: ნ. კრავჩენკომ, გ. შევილაძემ, მ. ანჯგელამ, ფ. ჰეტროსკომ და სხვებმა.

აღგილობრივი საბჭოების საარჩევნო კამპანიის გამოცხადებასთან დაკავშირებით ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმის 12 დეკემბრისათვის შესრულება.

ქ. დოგოგრგბინიძე

ბათუმის მშრომელების სიხარული

(ბათუმი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

გამოქვეყნდა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება მშრომელთა დეპუტატების აღგილობრივი საბჭოების არჩევნების დღის დანიშვნისა და საარჩევნო კამპანიის დაწყების შესახებ, რომელმაც აჭარის მშრომელებში ახალი შრომითი ენტუზიაზმი გამოიწვია.

კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, ფაბრიკა - ქარხნებსა, რკინიგზასა და წყლის ტრანსპორტზე მოეწყო სახელდახელო კრებები, მიძღვნილი აღგილობრივი საბჭოების საარჩევნო კამპანიის დაწყებისადმი.

ბათუმის სერგო ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში 25 ოქტომბერს შესვენების დროს შესდგა მიტინგი, რომელსაც 800 მეტი კაცი დაესწრო.

— ორდენოსანი საქართველოს ხალხთან ერთად აჭარის მშრომელები, — განაცხადა მიტინგზე სიტყვით გამოსულმა მეოთხე საამქროს უფროსმა ამხ. თ. რევიამ, — სიხარულით მოელიან არჩევნების დღეს — 24 დეკემბერს. არჩევნების პერიოდში კიდევ უფრო გავაძლიერებთ ბრძოლას მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის. ჩვენი სამქრო წლიურ გეგმას 12 დეკემბერს შეასრულებს.

ასეთივე კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს სიტყვით გამოსულმა სტახანოველებმა: ნ. კრავჩენკომ, გ. შევილაძემ, მ. ანჯგელამ, ფ. ჰეტროსკომ და სხვებმა.

აღგილობრივი საბჭოების საარჩევნო კამპანიის გამოცხადებასთან დაკავშირებით ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმის 12 დეკემბრისათვის შესრულება.

ქ. დოგოგრგბინიძე

№ 48 სკოლის უბნის აქტივისტი დიასახლისი ეკ. რატიანი არჩევნების დებულების შემსწავლელი წრის მეცადინეობის წინ ესაუბრება წრის მსმენელებს საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე. ფოტო რ. აკოფოვისა

იღებენ ახალ ვალდებულებებს

(ზუგდიდი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

24-25 ოქტომბერს რაიონის ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შესდგა ხალხმრავალი მიტინგები, რომლებზეც მშრომელები აღფრთოვანებით მიესალმნენ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებას საარჩევნო კამპანიის დაწყებისა და არჩევნების დღის დანიშვნის შესახებ.

24 ოქტომბერს ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა მიტინგი. სიტყვებით გამოსულმა ამხ. აშიხინმა, პერცალოვმა, გვასალიამ, მოლაშხიამ, ქარჩავამ, ჯიქიამ და სხვებმა აიღეს ახალი ვალდებულებანი.

კოლმეურნეობებმა იკისრეს ვალდებულება ჩაის პლანტაციების 1939 წლის საზამთრო სამუშაოები მაღალხარისხოვნად შეასრულონ 24 დეკემბრისათვის, აგრეთვე მოამზადონ მწვანე ნიშნოსნები — 15 კაცი და საჰაერო თავდაცვის ნიშნოსნები — 25 კაცი.

ზუგდიდის ბერიას სახელობის ჩაის ფაბრიკის მუშაკთა კოლექტივმა იკისრა ვალდებულება — ჩაის მზა პროდუქციის გამოშვებისა და დახარისხების გეგმა შეასრულოს 24 დეკემბრისათვის.

სტახანოველმა მუშამ აბდულამ იკისრა ვალდებულება საარჩევნო კამპანიის პერიოდში გამომუშავების ნორმები შეასრულოს ყოველდღიურად 260 პროცენტით.

დიდი აქტივობით ჩატარდა მიტინგები ენგურის ქალაქის ფაბრიკაში, საგრენაჟო ქარხანაში, ორსანტიის და სხვა კოლმეურნეობებში.

ს. ებრალიძე.

გეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საერთო საქალაქო თათბირი

ფოთი. 25 ოქტომბერი (საქდესი). 25 ოქტომბერს პარტგანათლების საქალაქო სახლში შესდგა პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელთა, მრავალტირაჟიანი გაზეთებისა და კედლის გაზეთების რედაქტორთა და კორესპონდენტთა საერთო საქალაქო თათბირი. თათბირს დაესწრო 110 კაცი. პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყ. გამგის მოადგილემ ამხ. ჭ. გუჯაბიძემ გააკეთა მოხსენება მშრომელთა დეპუტატების აღგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების შესახებ და ძირეული პრესის მიმაანებზე.

მოხსენებიდან და გამოსვლებიდან გამოირკვა, რომ თითქმის ყველა საქალაქო და სასოფლო კედლის გაზეთი სისტემატურად ათავსებს მასალებს არჩევნებისათვის მზადების შესახებ.

თათბირზე დასახეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მთელი ძირეული პრესის მონაწილეობას მშრომელთა დეპუტატების აღგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებაში.

ნ. ჯაფარიძე

ლენინი ჩერნიშევსკის შესახებ

(ნ. მეშჩერიაკოვი)

რუსეთის რევოლუციურმა დემოკრატიამ წამოაყენა მთელი პლეადა ბრწყინვალე მოღვაწეებისა, რომლებსაც ჰქონდათ ღრმა და გამბედავი გონება, მრავალმხრივი განათლება, დიდი ლიტერატურული ნიჭი, დასახული მიზნისაკენ შეუდრეკელი მისწრაფების უნარი. მარქსის წინა პერიოდის გამოჩენილ რევოლუციონერთა ამ რიგებში პირველი აღგილი დამსახურებულად უნდა დაეთმოს ნ. გ. ჩერნიშევსკის.

